პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
პირველი მრჩეველი

ოჯახი და მეგობრები სამარადისოდ

სადაც არ უნდა ცხოვრობდეთ, თქვენ გეყოლებათ მეგობრები, რომლებიც ეძებენ იმ უდიდეს ბედნიერებას, რომელიც თქვენ იესო ქრისტეს აღდგენილ სახარებაში აღმოაჩინეთ. შესაძლოა მათ ეს ბედნიერება სიტყვებით ვერ გამოხატონ, მაგრამ მათ შეუძლიათ მისი ამოცნობა, როცა თქვენს ცხოვრებაში დაინახავენ ამას. ისინი მოუთმენლად დაელოდებიან იმას, რომ გაიგონ, თუ რა არის ამ ბედნიერების წყარო, განსაკუთრებით როდესაც დაინახავენ, რომ თქვენც მათ მსგავსად აღმოჩნდებით ხოლმე სირთულეების წინაშე.

თქვენ, ღმერთის მცნებების დაცვისას, ბედნიერება განიცადეთ. ეს არის სახარებით ცხოვრების დაპირებული ნაყოფი (იხ. მოსია 2:41). თქვენ ერთგულად იცავთ უფლის დაპირებას არა იმიტომ, რომ სხვებს დაანახოთ ეს, მაგრამ ისინი, ვინც თქვენი ბედნიერების თვითმხილველნი არიან, უფლის მიერ ემზადებიან, გაიგონ კარგი ამბავი აღდგენილი სახარების შესახებ.

იმ ლოცვა-კურთხევებს, რომლებიც თქვენ მოგეცათ, მოჰყვა ვალდებულებები და მშვენიერი შესაძლებლობები თქვენთვის. თქვენ, როგორც ქრისტეს აღთქმულ მოწაფეს, გევალებათ შესთავაზოთ სხვებს იპოვონ მეტი ბედნიერება, განსაკუთრებით ეს ეხება თქვენს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს.

უფალმა დაინახა თქვენი შესაძლებლობა და აღწერა თქვენი ვალდებულება ამ მცნებაში: ყოველმა ადამიანმა, რომელიც გაფრთხილებულ იქნა, უნდა გააფრთხილოს თავისი მოყვასი. (მოძღვრება და აღთქმები 88:81).

უფალი გვიადვილებს ამ მცნების დაცვას იმითი, რომ იესო ქრისტეს სახარების მიღებითა და მისი მიხედვით ცხოვრებით, ჩვენ გული გვეცვლება, რის შედეგადაც ჩვენი სხვებისადმი სიყვარული იზრდება, ასევე იზრდება ჩვენი სურვილი — მათაც იქონიონ იგივე ბედნიერება, რაც ჩვენ განვიცადეთ.

ამ ცვლილების ერთ-ერთი მაგალითია ის, თუ როგორ იყენებთ უფლის მისიონერულ სამსახურში მონაწილეობის შანსს. სრული დროის მისიონერები მალე იგებენ, რომ ჯეშმარიტი მოქცეულისგან თხოვნაზე უპოვონ დაინტერესებული პირი, შეუძლიათ მიიღონ თბილი პასუხი. მოქცეულს აქვს ძალიან დიდი სურვილი გაუზიაროს ბედნიერება მეგობრებსა და ოჯახის წევრებს.

როცა მეურვეობის მისიის ხელმძღვანელი ან მისიონერები გთხოვენ მოუძებნოთ დაინტერესებული პირები, ეს თქვენთვის დიდი კომპლიმენტია. მათ იციან, რომ თქვენი მეგობრები ხედავენ თქვენს ბედნიერებას და მაშასადამე ისინი მზად არიან მოისმინონ, აირჩიონ და მიიღონ სახარება

და მათ სწამთ, რომ თქვენ იქნებით ის მეგობარი, რომელიც მათ ღვთის სასუფეველში შესვლისას დასჭირდებათ.

თქვენ არ უნდა გეშინოდეთ იმისი, რომ მისიონერებთან შეხვედრის გამო თქვენ მეგობრებს დაკარგავთ. მე მყავს მეგობრები, რომლებმაც არ მიიღეს მისიონერები, მაგრამ წლების განმავლობაში მადლობას მიხდიდნენ იმის გამო, რომ მე მათ შევთავაზე ის, რაც ასე ძვირფასია ჩემთვის. თქვენ შეგიძლიათ სახარების შეთავაზებით მარადიულად დაიმეგობროთ ადამიანი, რადგან ის ხედავს, რომ სახარებამ ბედნიერება მოგიტანათ. არასდროს არ გაუშვათ შესაძლებლობა მოიწვიოთ მეგობარი, განსაკუთრებით კი ოჯახის წევრი, გააკეთონ არჩევანი — მიჰყვნენ ბედნიერების გეგმას.

ასეთი მოსაწვევისათვის ყველაზე დიდი საშუალება საეკლესიო ტაძრებში გვეძლევა. იქ უფალი გვთავაზობს ხსნის წეს-ჩვეულებებს ჩვენი წინაპრებისთვის, რომლებმაც დედამიწაზე ცხოვრებისას ვერ მიიღეს ეს. ისინი სიყვარულითა და იმედით გიყურებენ ზეციდან. უფალი დაგვპირდა, რომ მათ ექნებათ იმის შესაძლებლობა, შევიდნენ მის სასუფეველში (იხ. მოძღვრება და აღთქმები 137:7–8) და მან თქვენს გულებში მათთვის სიყვარული ჩანერგა.

მრავალმა თქვენგანმა იგრძნო სხვებისთვის შემოთავაზებული სატაძრო წეს-ჩვეულებების სიხარული, ზუსტად ისე, როგორც მაშინ, როცა მისიონერებს ეუბნებით დაინტერესებული პირების სახელებს. წინაპრებისთვის ჩატარებული წეს-ჩვეულებებისაგან კიდევ უფრო დიდი სიხარული გიგრძვნიათ. წინასწარმეტყველ ჯოზეფ სმითს მიეცა გამოცხადება, რომლის მიხედვითაც ჩვენი მარადიული ბედნიერება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა შემცვლელი სატაძრო წეს-ჩვეულებების საშუალებით ჩვენ ჩვენს წინაპრებს ვთავაზობთ გზას ამ კურთხევის მისაღებად (იხ. მოძღვრება და აღთქმები 128:18).

შობის სეზონი განაწყობს ჩვენს გულებს მხსნელისა და იმ სიხარულის მიმართ, რაც სახარებამ მოგვიტანა. ჩვენ მას მაშინ ვუჩვენებთ მადლიერებას, როცა ამ ბედნიერებას სხვებს ვთავაზობთ. მადლიერება სიხარულში გადადის, როცა ჩვენ მისიონერებს პოტენციური მსმენლების სახელებს ვაწვდით და მაშინ, როცა წინაპრების სახელები ტაძრებში მიგვაქვს. ჩვენი მადლიერების ასეთი ნიშანი გვაპოვნინებს ისეთ მეგობრებს და შეგვაქმნევინებს ისეთ ოჯახებს, რომლებიც მარადიულ ურთიერთობას გაუძლებენ.

ამ მოწოდების სწავლება

პრეზიდენტი აირინგი გვიხსნის, რომ ჩვენ შეგვიძლია გამოვხატოთ მხსნელის მიმართ მადლიერება იმით, რომ სხვებს გავუზიაროთ სახარება. თქვენ შეგიძლიათ განიხილოთ მათთან, ვისაც სტუმრობთ, თუ როგორ დალოცა თქვენი ცხოვრება სახარების ძღვენმა. მოიწვიეთ ისინი, ლოცვაში შეიცნონ ისინი, ვისთანაც სახარების ძღვენის გაზიარების სურვილი აქვთ და ის, თუ როგორ მოახდინონ ეს.

ბავშვები

დამოწმების გაზიარება

თქვენ შეგიძლიათ ამ წლის შობას გაუზიაროთ სხვებს სახარების ძღვენი იმით, რომ მიართვათ მეგობარს ან მეზობელს მორმონის წიგნი, სადაც თქვენი მოწმობა იქნება დაწერილი. ამისთვის მოემზადეთ შემდეგნაირად:

1. ქაღალდის ფურცელზე დახაზეთ 11.5x16.6 სმ ზომის მართკუთხედი და უფროსის დახმარებით გამოჭერით იგი.
2. ფურცლის თავზე დახატეთ ან დააწებეთ თქვენი სურათი.
3. სურათის ქვეშ დაწერეთ თქვენი მოწმობა.
4. უფროსის დახმარებით მიამაგრეთ ფურცელი მორმონის წიგნის ყდის შიდა მხარეს.

ახალგაზრდები

შემეძლო მორმონის წიგნის გაზიარება?

ჯომ არნეტის მიერ

როცა პირველ კურსზე ვიყავი, ჩემმა სემინარიის მასწავლებელმა მოგვიწოდა, გვეჩუქებინა მორმონის წიგნი მეგობრებისთვის ან არაწევრებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მორცხვი ვიყავი, მე მაინც მივიღე ეს მოწოდება.

რამოდენიმე დღე დამჭირდა იმისთვის, რომ სიმამაცე მომეკრიბა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჩემს მეგობარს, ბრიტნის მივეცი წიგნი ლანჩის დროს და მოკლე მოწმობაც გავუზიარე. ბრიტნიმ წიგნისთვის მადლობა გადამიხადა.

სასკოლო წლის დასასრულს ბრიტნი სხვაგან გადავიდა, მაგრამ ჩვენ ურთიერთობა არ შეგვიწყვეტია. მან თავისი ახალი სკოლის შესახებ მიამბო და მითხრა, რომ მისი მეგობრების უმეტესობა ეკლესიის წევრები იყვნენ, მაგრამ მას ჩემთან არაფერი სულიერი არ უხსენებია.

მაგრამ სანამ მისიაზე წავიდოდი, რაღაც შეიცვალა. მე ბრიტნისგან შეტყობინება მივიღე, სადაც მაცნობა, რომ მას ჩემთვის დიდი სიახლე უნდა ემცნო: მან გადაწყვიტა მონათვლა და მადლობა გადამიხადა იმისთვის, რომ მისი მეგობარი ვიყავი და ასეთ კარგ მაგალითს ვაძლევდი.

ღმერთმა ამოირჩია მორცხვი 15 წლის ბიჭი, რომელსაც არ ჰქონდა მისიონერული გამოცდილება და მიუთითა ვიღაც, ვისთვისაც მას სახარება უნდა გაეზიარებინა და ის მას მიიღებდა. მე ვიცი, რომ თუ სულიწმინდას მოვუსმენთ, ჩვენ ყველას შეგვიძლია ვიპოვოთ ადამიანები ჩვენს ირგვლივ, რომლებიც ელიან, მოისმინონ აღდგენილი სახარების შესახებ. მე ვიცი, რომ თუ ჩვენ უფალთან ერთ ადამიანს მაინც მივიყვანთ, მაშინ რაოდენ დიდი იქნება ჩვენი სიხარული მასთან ერთად მამაზეციერის სასუფეველში! (მოძღვრება და აღთქმები 6:23)

ავტორი ცხოვრობს აშშ-ში, ვაშინგტონში.

© 2013 Intellectual Reserve, Inc. მიერ. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი *First Presidency Message, December 2013.* Georgian. 10672 131

იესო ქრისტეს ღვთიური მისია: მხოლოდშობილი ძე

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ, რას გაუზიარებთ ამ მასალიდან სხვებს. როგორ ზრდის მხსნელის მისიისა და ცხოვრების გაგება ჩვენს რწმენას მასში და ლოცავს მათ, ვისაც თქვენ სტუმრობთ შინა მასწავლებლის პროგრამით? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი reliefsociety.lds.org.

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილების სერიათა ნაწილი, რომელიც ასახავს მხსნელის მისიის ზოგიერთ ასპექტს.

ჩვენს მხსნელს, იესო ქრისტეს, უწოდებენ მხოლოდშობილ ძეს, რადგან იგი არის დედამიწაზე ერთადერთი ადამიანი, რომელიც დაიბადა მიწიერი დედისა და უკვდავი მამისაგან. მან თავისი მამისგან, ღმერთისგან, დაიმკვიდრა ღვთიური ძალა. დედისგან, მარიამისგან, მან მემკვიდრეობით მიიღო მოკვდაობა, წყურვილის, შიმშილის გრძნობა, დაღლილობა, ტკივილი და სიკვდილი.[1]

რადგან იესო ქრისტე მამის მხოლოდშობილი ძეა, მან შეძლო საკუთარი სიცოცხლის დათმობა და შემდეგ მისი დაბრუნება. წმინდა წერილი გვასწავლის, რომ ქრისტეს გამოსყიდვის მეშვეობით ჩვენ ვიძენთ აღდგომას. (Jacob 4:11) ჩვენ ასევე ვსწავლობთ, რომ ყველას შეუძლია უკვდავებიდან მარადიულ სიცოცხლეს მიაღწიოს, თუკი ვირწმუნებთ (D&C 29:43).

როცა ჩვენ უფრო სრულად გავიგებთ, თუ რას ნიშნავს იესოსთვის იყოს მამის მხოლოდშობილი ძე, ჩვენი რწმენა ქრისტეს მიმართ გაიზრდება. უხუცესმა დ. თოდ კრისტოფერსონმა თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან თქვა: „რწმენა იესო ქრისტეს მიმართ არის დარწმუნება და რწმენა, რომ (1) იგი არის ღვთის მხოლოდშობილი ძე, (2) გვწამს მისი უსაზღვრო გამოსყიდვის (3) გვწამს მისი პირდაპირი გაგებით, აღდგომა.[2] თანამედროვე წინასწარმეტყველებმა დაამოწმეს: იესო ქრისტე იყო მხოლოდშობილი ხორციელი ძე, სამყაროს მხსნელი“[3]

წმინდა წერილიდან

იოანე 3:16; მოძღვრება და აღთქმები 20:21–24; მოსე 5:6–9

ჩვენი ისტორიიდან

ახალ აღთქმაში ჩვენ ვკითხულობთ ქალების შესახებ, მოხსენიებულთ სახელებით თუ უსახელოდ, რომლებიც ქრისტეში რწმენას ამჟღავნებდნენ, მის სწავლებას შეისწავლიდნენ და ცხოვრებაში ატარებდნენ მას და მის მსახურებაზე, საოცრებებსა და დიდებაზე მოწმობდნენ. ეს ქალები გახდნენ სამაგალითო მოწაფენი და ამ ხსნის სამსახურის განსაკუთრებული მოწმენი.

მაგალითად მართამ მოიტანა ძლიერი მოწმობა მხსნელის ღვთიურობის შესახებ, როცა მან უთხრა მას: „მე მწამს, რომ შენ ქრისტე ხარ, ძე ღვთისა, ამ სოფლად მომავალი“ (იოანე 11:27).

მხსნელის ღვთიურობის ერთ-ერთი ყველაზე პირველი მოწმენი მისი დედა, მარიამი, და მისი ნათესავი, ელისაბედი, იყვნენ. სულ მალე მას შემდეგ, რაც ანგელოზი გაბრიელი მარიამს გამოეცხადა, იგი ელისაბედს ეწვია. როგორც კი ელისაბედმა მარიამის მისალმება მოისმინა, იგი „სულიწმიდით აღივსო“ (ლუკა 1:41) და დაამოწმა, რომ მარიამი ღვთის ძის დედა გახდებოდა.

შენიშვნები

1. იხ. *ძირითადი სახარება* (2009), 52–53.
2. დ. თოდ კრისტოფერსონი “Building Faith in Christ,” *Liahona,* სექტემბერი, 2012, 13.
3. „ცოცხალი ქრისტე: მოციქულების მოწმობა“, *ლიახონა*, აპრილი2000, 2–3.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. რატომ არის ჩემთვის მნიშვნელოვანი, გავიგო იესო ქრისტეს როლი?

2. როგორ ზრდის აღთქმ ის დაცვა ჩვენს რწმენას იესო ქრისტეს მიმართ?

© 2013 Intellectual Reserve, Inc. მიერ. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში.ინგლისურად დამტკიცებულია: 6/13. თარგმანი დამტკიცებულია: 6/13.
Visiting Teaching Message, December 2013. Georgian. 10672 131